

შეხვედრები დიპლომატებთან კავკასიურ სახლში

პირველი შეხვედრა –თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან
საქართველოში, ზაქი ლევენტ გუმრუქჩუსთან

21.06.2016 თბილისი



„კავკასიურ სახლში“ დაიწყო საჯარო დისკუსიების ციკლი „შეხვედრები დიპლომატებთან კავკასიურ სახლში“. შეხვედრები იმართება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

21 ივნისს პირველი შეხვედრა გაიმართა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, ზაქი ლევენტ გუმრუქჩუსთან. ელჩმა ისაუბრა როგორც თურქეთის რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკაზე, ისე საქართველო-თურქეთის ორმხრივ ურთიერთობებზე.

საერთაშორისო კონტექსტი

ბატონმა გუმრუქჩუმ განიხილა საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ტენდენციები ცივი ომის დასრულებიდან დღემდე და ხაზი გაუსვა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონს მსოფლიო უსაფრთხოების დღის წესრიგში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რაც შეცდომა იყო. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ჯერ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაზე, ხოლო 2011 წლის შემდეგ, - ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთზე. ასეთ ვითარებაში კი, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები ყურადღების მიღმა დარჩა. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რუსეთის პოლიტიკა სამეზობლოში უფრო აგრესიული გახდა, თუმცა არც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და არც 2014 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, დასავლეთის პასუხი ამ აგრესიაზე შესაბამისი არ იყო. ასევე აღინიშნა, რომ აგვისტოს მოვლენებზე დასავლეთის ადეკვატური პასუხის შემთხვევაში, შესაძლოა, უკრაინაში ვითარება არ გამწვავებულიყო. ამავე დროს ელჩმა შენიშნა, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია, თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს აგრესიის იგნორირებას.

საქართველო-თურქეთი



შეხვედრაზე ელჩმა ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. “ამ ქვეყნებში დემოკრატიის არასრულყოფილების მიუხედავად, უნდა გავიაზროთ, რომ დემოკრატია კულტურაა, რომელიც მუდმივად უნდა ვითარდებოდეს” - აღნიშნა ელჩმა.

საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დინამიურად

ვითარდება როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროებში. განსაკუთრებით ინტენსიურია ეკონომიური თანამშრომლობა. თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი პარტნიორია და ვაჭრობის 20% სწორედ მასზე მოდის. თუმცა სავაჭრო ბალანსი არათანაბარია და მნიშვნელოვანია ამ დისბალანსის გამოსწორება.

დემოკრატია დიდწილად დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან. ამ კუთხით, ელჩმა ხაზი გაუსვა ენერჯო უსაფრთხოებას, სატრანზიტო უსაფრთხოებას; ასევე ორ ქვეყანას შორის საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას.

ევროინტეგრაცია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა

ბატონი გუმრუქუ მოხსენებაში შეეხო საქართველოს საგარეო პოლიტიკას და ევროინტეგრაციას. მისი თქმით, თურქეთი აქტიურად მუშაობს საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის. თუმცა, ეს არ არის გადამწყვეტი, ვინაიდან ორგანიზაციაში გადაწყვეტილება კონსენსუსის საფუძველზე მიიღება. ელჩმა ისაუბრა ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ვიზა ლიბერალიზაციის საკითხებზეც, რომელიც ორივე ქვეყნისთვის აქტუალური საკითხია. მან აქცენტი გააკეთა ღირებულებით კომპონენტზე და აღნიშნა, რომ თუ ქვეყნებმა თავიანთი ნაკისრი ვალდებულებები შეასრულეს, ევროკავშირმა თავის მხრივ უნდა შეასრულოს პირობა. ასევე აღნიშნა, რომ თურქეთი დიდი ხანია ევროინტეგრაციისკენ მიისწრაფის და იგი კვლავ ქვეყნის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ბატონმა გუმრუქიუმ განაცხადა, რომ თურქეთს ყავს როგორც ქართული, ისე აფხაზური დიასპორა. ამიტომ მნიშვნელოვანია ეს პრობლემა მოგვარდეს. „ჩვენ არამხოლოდ საქართველოს მთლიანობას ვუჭერთ მხარს, არამედ ვცდილობთ კონსტრუქციული როლი ვითამაშოთ ამ პრობლემის გადაწყვეტაში, განსაკუთრებით აფხაზეთში“ - განაცხადა ელჩმა.

დამსწრე აუდიტორიას საშუალება ჰქონდათ ელჩისთვის დაესვათ შეკითხვები მათთვის საინტერესო თემებზე და უფრო დეტალურად განეხილათ ზემოაღნიშნული საკითხები .

